ევროკავშირი
საქართველოსთვის

ევროკავშირი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

თანადაფინანსებულია
და ხორციელდება
ევროპის საბჭოს მიერ

პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის

პროექტი: სასამართლოს მენეჯმენტის მოდერნიზაციის ხელშეწყობა საქართველოში

პროექტი ესწრაფვის, განაგრძოს ქვეყნის მხარდაჭერა ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებისა თუ ინსტრუმენტების დასამკვიდრებლად მართლმსაჯულების სფეროში, ასევე, მეტად განავითაროს ამ სფეროს პროფესიონალთა შესაძლებლობები, რათა მათ ეს სტანდარტები და ინსტრუმენტები სხვადასხვა მიმართულებით გამოიყენონ: სასამართლო სისტემის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, სასამართლოს ადმინისტრირების მოდერნიზაციისათვის, მათ შორის, კიბერმართლმსაჯულების ინსტრუმენტთა დანერგვის გზით. ამასთან, უწყვეტად გააუმჯობესონ სასამართლოს სერვისები პროფესიონალებსა და საზოგადოებას შორის დიალოგით.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის - მესამე ფაზის ფარგლებში, 2023 წლიდან 2027 წლამდე პერიოდში. იგი ეფუძნება აღნიშნული პროგრამის პირველი და მეორე ფაზების შედეგებს მართლმსაჯულების გაძლიერების სფეროში (I ფაზა: 2015-2018; II ფაზა 2019-2023).

პროექტის მიზნებია:

- საქართველოში მხარი დაუჭიროს მართლმსაჯულების ეფექტიანობის გაუმჯობესებას, კერძოდ კი, საქმეთა ნაშთისა და სამართალწარმოების გაჭიანურების შემცირებას.
- დაეხმაროს სასამართლოს სერვისების გაუმჯობესებას, სამართლის პროფესიონალებსა და საზოგადოებას შორის დიალოგის გზით.
- ხელი შეუწყოს მოსამართლეთა მხრიდან საქმეების მედიაციისათვის გადაცემის ზრდას, სამედიაციო საქმეებზე სტატისტიკის უკეთ შეგროვებას CEPEJ-ის მედიაციის განვითარების გზამკვლევზე დაფუძნებით.

ვინ ისარგებლებს პროექტით?

- იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- საერთო სასამართლოები;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი;
- მედიატორთა ასოციაცია.

როგორ მუშაობს პროექტი?

- სხვადასხვა ტიპის მოქმედებათა კომბინაციით, რომელთა შორისაა კონტექსტზე მორგებული პოლიტიკის განხორციელება, აქტივობები

რის მიღწევას ვცდილობთ?

- სასამართლოები დანერგავენ ხარისხისა და ეფექტიანობის სტანდარტებსა და ინსტრუმენტებს;
- გაუმჯობესდება ეფექტიანი და ხარისხიანი სასამართლო სერვისების მოქალაქეებისათვის მიწოდება;

შესაძლებლობათა გაუმჯობესებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით.

- ქოუჩინგის პროგრამა სასამართლოებში შექმნის კარგ პლატფორმას სასამართლოს მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად და პრაქტიკული ზომები გავრცელდება ყველა სასამართლოში;
- სასამართლოს მუშაობა გაძლიერდება სასამართლოს გაუმჯობესებული მენეჯმენტის მეშვეობით;
- სასამართლოების მხრიდან მედიაციისადმი მიმართვიანობა მოიმატებს.

რამდენია პროექტის ბიუჯეტი?

- პროექტის სრული ბიუჯეტია 800 000 ევრო.
- მთლიანი პროგრამის საერთო ბიუჯეტია 19.3 მლნ ევრო (80% თანადაფინანსებულია ევროკავშირის და 20% ევროპის საბჭოს მიერ).

რამდენ ხანს გრძელდება პროეტქი?

- პროექტი მიმდინარეობს 2023 წლის 1 მარტიდან 2026 წლის 28 თებერვლამდე პერიოდში.

როგორ მივიღოთ მეტი ინფორმაცია?

- პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის
  ვებგვერდი: http://partnership-governance-eu.coe.int/
  ელფოსტა: dpc_pgg@coe.int
- ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
  ვებგვერდი: https://www.coe.int/tbilisi/
  ელფოსტა: informtbilisi@coe.int

„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“(PGG) არის ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში კარგი მმართველობის გასაძლიერებლად.

PGG უზრუნველყოფს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხარდაჭერას მათი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, ის მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საშინაო რეფორმებს მართლმსაჯულების გაძლიერების, ეკონომიკური დანაშაულისადმი წინააღმდეგობის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობის, ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. PGG მხარს უჭერს საქართველოს ევროპული პერსპექტივის დღის წესრიგში, ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად.